ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**№60. 6023286001**

თარიღი:**13/10/2023**

ხონის მერიის ახალგაზრდული საბჭოს წევრების შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის, ვადებისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 62-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 ოქტომბრის ბრძანება N№60.6023284001-ის („ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს დებულების“) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ხონის მერიის ახალგაზრდული საბჭოს წევრების შერჩევის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი, ვადები და პირობები დანართი 1-ის შესაბამისად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1).

3. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი